შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია “ შორის 2018 წლის 28 დეკემბერს გაფორმებულ N852-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

ქ. თბილისი 04 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136) შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი საბითუმო და კორპორატიული გაყვიდების დეპარტამენტის უფროსი თეონა ონიკაძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 28 დეკემბერს გაფორმებულ N852-ე ხელშეკრულების მე-10 მუხლის საფუძველზე (განცხადების ნომერი CON180000031) და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის 2019 წლის 30 სექტემბრის N2583135 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის 2019 წლის 30 სექტემბრის N2583135 სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ 2018 წლის 28 დეკემბერს გაფორმებულ N852-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო ღირებულების სრულად ათვისება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ვერ განხორციელდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა შემცირდეს ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება 558,21 ლარით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა იხელმძღვანელა ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად და მიმწოდებელთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულები საორიენტაციო ღირებულების შემცირების შესახებ.

დადგენილებითი ნაწილი:

1. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ით განსაზღვრული საერთო ღირებულება 2061 ლარი შემცირდეს 558,21 ლარით და შეადგინოს 1502,79 ლარი.

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება 2061 ლარი შემცირდეს 558,21 ლარით და შეადგინოს 1502,79 ლარი.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2018 წლის 28 დეკემბერს დადებულ N852–ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

SUN PETROLEUM GEORGIA LLC

Digitally signed by SUN PETROLEUM GEORGIA LLC
Date: 2019.10.04 12:32:26 +04'00'